სახალხო გაზეთი

№ 715 პარასკევი, 5 ოქტომბერი 1912 წ. № 715

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

კვირას, შვიდ ოქტომბერს, დ. ახალ-სენაკის ნატოჩაოს წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

აგრაფენა იოსების ასულის ხუნწარიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ივანე მარკოზის ძე ხუნწარია.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1543.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 7 ოქტომბერს, გაიმართება მხოლოდ ერთი იაფ-ფასიანი

ქართული კონცერტი

კ. გ. ფოცხვერაშვილისა.

შესრულებულ იქნება პირველად ტფილისში კ. ფოცხვერაშვილის **ახალ ქართულ ოპერიდან „კერპთა დამხობა“**), სოლოები, ხოროები და სიმფონიური ნომრები. **ქალ-ვაჟთა ხორო** ორკესტრთან ერთად **შეასრულებს** ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ **ქართულ-ეროვნულ სიმღერებს**. სიმფონიურ განყოფილებაში ორკესტრი შეასრულებს მ. ბალანჩივაძის ოპერა „**თამარ ცბიერიდან**“ **დავლურს და ლეკურს.** მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი **ნ. პრესინსკაია** (შეასრულებს ოპერა „კერპთა დამხობიდან“ ქურუმ-ქალის არიას), ქალ-ვაჟთა ხორო და „ახალი კლუბის“ სიმფონიური ორკესტრი. ბილეთ. 10 კ. 1 მან.-დე, იყიდება თეატრ. კასაში. **დასაწყ. დილ.** 12½ ს.

1535 ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი,** გამგე **ალ. წუწუნავა.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მიქელაძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სქესობრ. ავ. ქირურგ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ. კონსულტატი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდლეროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სულ. ავად.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალების ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.

კვირას, 7 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა

მსხვერპლი, დრამა 3 მოქმედ.

ალებული სოფლის ცხოვრებიდან მოძრაობის დროს.

მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, შალიკაშვილი, ციციშვილი.

ჩაფრები, გლეხკაცობა სოფლის ყრილობაზე, სტუმრები და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთშ., 11 ოქტ., წარმოდგ. იქნება: 1) მხიარული კომედია **„კონცერტი“**, 3 მოქ. და **„სიზმარი კოშკში“**, დრამატ. ნაკვთი 1 მოქ. კონსტან-ანდრონისა.

5141. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ◆ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ახალი კლუბი

შაბათს, 6 ღვინობისთვეს, საოჯახო საღამო ქართულ თეატრის სცენაზე

I. **დალატი** შარჟი 2 სურათად ლა—რისა. ვ. ა. აბაშიძის და ქარ. დრ. საზოგ. დასის მონაწილეობით.

II. **ქართული ხორო** მ. კავსაძისა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წარმოდგენის შემდეგ **ცეკვა, სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.**

ბილეთების ფასი თეატრში შესასვლელად 75 კ.—20 კ. გალერეაში შემსვლელი არ იხდის კლუბში შესასვლელ ფასს; სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები 1 მ.; ქალები—50 კ. სტუდენტები—25 კ. 1536

ტფილისის ქართული **ფილარმონიული** საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ სადგომში (**კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.**

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.

მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. კალაშნიკოვისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია, დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

სწავლა დაიწყო 2 სექტემბრიდგან. 1429

სასტუმრო უნივერსალი

(ძველად „მუხრანის ნომრები“) **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** 1481

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქრისტიანო მოძღვრებ., ფასი	30 კ.
სიტყვა თქმული ერთს კრებაზე,	10 კ.
საეკლესიო ქადაგებანი იოანე ბოლნელისა	1 მ.
მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ.	40 კ.
წესი სამღვდელოსა და საღმრთო ლიტურგიისა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანნე ოქროპირისა	60 კ.
Слова и рѣчи, ეპისკ. გაბრიელი	2 მ.
Номокановъ Іоанни Постника, Хаханова	მ.
Правила VI, Вселенскаго собора Хах.	1 მ.
Іерусалимски Канонаръ VII в. Св. Кекелидзе,	2 მ.
Древне-Грузинскій Архіеритиковъ, Кекелидзе	1 მ
Культурная роль Иверіи въ Исторіи Русси. სამი მანეთის ნაცვლად	1 მ. 50 „

დარესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს „კორონკები“ და „ვსტავკები“ (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. **გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. **დადეშქელიანი-ხახმიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარ. ა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. **ძიძიშვილი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. **მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. **ხელიძეიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“ 1018

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1530

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

ექიმი ივ. გომართელი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 0.49

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **დეკანოზ კ. ცინცაძის მოხსენება წმ. თამარ მეფის შესახებ.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ ამ დღეებში მოისმინა ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ, კ. ცინცაძის მოხსენება, რომელიც შეეხება ზოგიერთ ფირმის მიერ წმ. თამარ მეფის სახელისა და სახის გმობას. მოხსენებაში ნათქვამია, რომ რიგის ერთს ფირმას „ბრიგერს“ გამოუშვია გასაყიდი საპონი, გახვეული ფერად ქაღალდში, რომელზედაც ჰხატია თამარ მეფე. ამას გარდა ქუთაისის ფირმა, სახელდობრ ფ. ნ. ჭელიძისა, შამპანიურ ღვინოებს ბაზარში უშვებს „კოლხიდისა“ და „თამარ“-ის სახელით. აგრედვე „თამარ“-ი დაურქმევიათ ქუთაისის ერთს პროჟექტორისთვის. სასინოდო კანტორამ მოისმინა ეს მოხსენება და დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორებს, რათა შესაფერი ზომები მიიღონ წმ. თამარ მეფის სახელის შეგინების წინააღმდეგ.

◆ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** საფილოქსერო დასებმა მთავარ ინსტრუქტორების ი. ო. იოსელიანისა და ნ. კ. მაკარაშვილის ხელმძღვანელობით კახეთში მუშაობდნენ, უკვე დაამთავრეს მუშაობა და ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდნენ. ინსტრუქტორ იოსელიანის დასს უმუშავნია ივრის ხეობაში და ფილოქსერა აღმოუჩენია შემდეგს სოფლებში: პატარძეულსა, ბერთუბანსა და ნინოწმინდაში, ხოლო ინსტრუქტორ მაკარაშვილის დასს, რომელიც თელავის მაზრაში მუშაობდა, ფილოქსერა აღმოუჩენია თვით თელავის რამდენიმე ვენახში.

◆ **პ. პ. არხიპოვი,** მიწათ-მოქმედების სამინისტროს მთავარი რწმუნებული, ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა.

◆ ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გენერალი **გ. ნ. ყაზბეგი** ტფილისში ჩამოვიდა.

◆ ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი გორის მაზრიდან 3 ოქტომბერს, საღამოს მატარებლით ტფილისს დაბრუნდა.

◆ **პურის ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ 3 ოქტომბრის კრებაზე, დაადგინა გირვანქა თონის პურზე შემდეგი ნიხრი დააწესოს: 1 ხარისხისაზე—5 კ., მეორეზე 4 კ. და მესამეზე—3½ კ. ფურნის პურზე: პირველ ხარისხისაზე—4½ კ., მეორეზე—4 კ. და მესამეზე —3 კაპიკ ნახევარი.

◆ **რედაქციამ მიიღო:** 1) ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემული იაკობ გოგებაშვილის **„რუსკოე სლოვო“** ნაწილი პირველი (მე-21 გამოცემა). ყდით ორი აბაზი ღირს. 2) მისივე გამოცემა იაკობ გოგებაშვილის **„ბუნების კარი“-სა** (21 გამოცემა). ყდით თოთხმეტი შაური ღირს.

ორივე წიგნი ლაზათიანად და სუფთად არის გამოცემული.

◆ **რედაქციამ მიიღო** ს. რობაქიძის შედგენილი **„სამშობლოს აღწერა“**, მოკლე სახელმძღვანელო საქართველოს გეოგრაფიისა, სურათებითა და რუკით. წიგნი 112 გვერდიანია და ყდით ათ შაურად ღირს.

◆ 3 ოქტომბერს ტფილისში 27 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 3 ოქტომბერს ფოთის ქუჩაზე ჩრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს. იქვე ბარათიც იპოვეს, რომელშიაც ეწერა: „ბავშვი 6 თვისაა· მონათლულია. ნინო ჰქვიან“

სასწავლებლებში.

◆ **სკოლები ფშავ-ხევსურეთში.** გორის ეპისკოპოს ანტონის მოხსენების თანახმად, ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება სკოლებსა (ექვსს) ჰხსნის შემდეგ ადგილებში: ხევსურეთში—ბარისახოსა, ხახმატსა და შატილში; ფშავეთში—ჩარგალსა, შუაფხოსა და მუქოში.

◆ ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა: სოფ. ვაშიათკავისა, ბუშანთკავისა, კლიოთკავისა, მუღუთისა, კაჟახისარის და ჯაბიაკოვის სასოფლო ყრილობათა დადგენილება, რომლითაც ისინი თხოულობენ სოფ. შუბითკავსა და მუღუთში პირველდაწყებით სასწავლებლების გახსნას.

სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** ახალციხეს გაემგზავრა, სადაც 11 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** განჯასა, პეტროვსკსა, კავკავსა, პიატიგორსკსა და ბაქოს გაემ-

გზავრა. ტფილისში მხოლოდ 21 ოქტომბერს დაბრუნდება.

სოფლად

✦ **ტფ. მაზრა.** სოფ. სართიჭალიდან სამ ვერსის მოშორებით სამმა შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვა ურმით მიმავალი ალექსანდრე ავაკოვი, რამაზან კურბან-მაგამა ოღლი და მაგამა ომარ ოღლი. იმავე საღამოს პოლიციელებმა შეიპყრეს ერთი მძარცველთაგანი.

✦ **გორის მაზრა.** სოფ. ლექეთში უცნობმა თოფი ესროლა სოსე თედოზაშვილსა, რომელმაც უცნობი ყურძნის ქურდობის დროს ვენახში შეასწრო. თედოზაშვილი სიკვდილს გადარჩა, თუმცა წამალმა სახე დასწვა.

სოფ. ქრელში ივანე კოდერძაშვილს და სანდრო ნოზაძეს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს პირველმა დანით მუცელში მძიმედ დასჭრა მეორე.

✦ **ს. ყანდაური** (ქიზიყი). 16 სექტემბერს ნაშუაღამევის ორ საათზე, ყანდაურის მცხოვრებს გლეხს მიხეილ ხორბალაძეს მოჰქონდა ურმით სიმინდი ქალიდან. სოფელს რომ დაუახლოვდა, ჩამოვარდა მეხი და დაეცა ურმის თავზე მჯდომს ხორბალაძეს, კამეჩების უღელი შუაზე გადატეხა და ორივე კამეჩები და ერთი ხარი იქვე გააქრო. ერთმა ხარმა გასწყვიტა აპეური და გადარჩა სიკვდილს. უკან მიმავალი ურმები მიადგნენ ხორბალაძეს, შინ წაიყვანეს, ცოცხალ-მკვდარი, და მოაბრუნეს ხოლო ნახევარი სხეული სულ დამწვარი აქვს. მისი გადარჩენა ძნელია.

✦ **სოფ. შიბლიანი** (ქიზიყი) 13 სექტემბერს ნაშუადღევის სამ საათზე გლეხის ნიკოლოზ ჩოკოშვილის ცოლს ცეცხლი აენთო ბუხარში. ბუხრიდან ცეცხლი გაუჩნდა სახლს და გადაიბუგა. გადაიწვა ოთხი სხვა შენობაც ალექსა და ზაქრო ჩოკოშვილებისა, რომელნიც სალოცავად იყვნენ წასულები ალავერდში. თუმცა ხალხი მალე მიეშველა, მაგრამ ვერაფერი ვერ გადაარჩინეს.

✦ **ბორჩალოს მაზრა.** სოფ. აკაურტის მცხოვრები გიგა მაღრაძე წყალზე დასასვენებლად ცხვარს ერეკებოდა. ღამის მცველი მიხეილ ჯაბაძე გამოეხმაურა და როდესაც პასუხი არ მიიღო, თოფით ესროლა. დაჭრილი მაღრაძე ექიმთან წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

შეცდომის გასწორება. გუშინ დაბეჭდილ წერილში „მოგზაურობა მესხეთში“ შეცდომითაა დაბეჭდილი: „თითქმის ყველგან აქვთ მოლებს გამართული პატარა სასწავლებლები, სადაც **არაბულ** ენას არამც თუ არ ასწავლიან, ბევრგან ლაპარაკსაც კი უშლიან“ **უნდა იყოს ქართულ ენას** და სხვა.

არჩევნები ჩვენში

ტფ. რუსთა კურიის არჩევნები. 3 ოქტომბერს სამაზრო საარჩევნო კომისიამ რუსთა კურიის არჩევნები დაამტკიცა. ყუთებში ჩააგდეს სულ 2,423 ბარათი. ამათგან 31 ბარათი სრულიად უმნიშვნელოდ იქმნა ცნობილი. უმნიშვნელოდვე იქმნა ცნობილი რუს ნაციონალისტების 695 ბარათი. კანონიერად იქმნა ცნობილი 1,697 ბარათი. ამ ბარათების დიდი უმრავლესობა პროგრესისტების კანდიდატეს ამოუვიდა. ამ რიგად გამარჯვება ხვდათ პროგრესისტებს, რომელთა ყველა (13) კანდიდატის ამომრჩევლად გავიდა.

ტფ. საერთო კურიის არჩევნების შედეგი. გუშინ დასთვალეს ამომრჩეველთა კანდიდატების ხმები. პირველსა და მეორე საარჩევნო უბნებში ხმების დათვლა უკვე გათავდა. ხმის დიდის უმრავლესობით ამომრჩევლებად გავიდნენ კ. ჩხეიძის მომხრენი: პირველ უბანში—ნ. ს. ჩხეიძე და ა. ს. ბაბოვი, ხოლო მეორეში ა. გ. ბებურიშვილი, გ. დ. გაგლოევი და ა. დ. არუთინიანცი. მესამე საარჩევნო უბანში სულ აღმოჩნდა 1078 ბარათი. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 547 ბარათი პროგრესისტებმა—531 ბარათი.

პირველ უბანში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო—1115 ამომრჩეველმა, მეორეში—1381.

ჟურნალისტის დღიური

88.

პროფესიონალური განათლება.

გიმნაზიური განათლება მოარულივით მოედო ჩვენს ქვეყანას, ყველა, ისეთიც კი, რომელსაც არავითარი საშუალება არა აქვს, სცდილობს შვილი უსათუოდ გიმნაზიაში მიაბაროს. შედეგი კი სამწუხაროა ხოლმე. ხშირად ქონებრივად ხელმოკლე მშობელი ველარ უძლებს უზომო ხარჯს და შვილს შუაგზაზე სტოვებს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქალებზე. ძალიან ხშირად ქალები საშუალო სასწავლებელსაც ვერ ასრულებენ, გამოდიან მესამე-მეოთხე კლასიდან და თავის ღარიბ ოჯახს უბრუნდებიან. მაგრამ გიმნაზია მაინც თავის ბეჭედს ასვამს, განსაზღვრულ ფსიხიკას უშავებს. სულ სხვანაირი გემოვნება ებადება ბავშვს, სულ სხვანაირი სურვილები ეღვიძება გულში. იგი ველარც თავის ღარიბ ოჯახის ტრადიციებსა და ცხოვრების პირობებს ეთვისება, ველარც თავი დაუხწევია იქიდან. ამისთანა არსების მდგომარეობა პირდაპირ ტრაგიკულია.

ვისაც ჩვენი ღარიბი ოჯახის ბედიღბალი აინტერესებს, ვისაც უნდა, რომ პატარა, მაგრამ დამთავრებული და მთლიანი ცოდნა მაინც მიიღონ ღარიბ ოჯახის შვილებმა, ვისაც უნდა რომ ამნაირ ოჯახებში ჯოჯოხეთი არ დატრიალდეს, უნდა ყოველი ღონისძიება მიიღოს, შექმნას ისეთი დაწესებულებანი, ისეთი სკოლები, სადაც ღარიბი ოჯახის შვილები დამთავრებულ, ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას მიიღებენ.

ამ გარემოებას ჩვენი საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას აქცევს, მაგრამ მაინც აქა-იქ ჩნდებიან პიონერები, რომელთაც ჩვენის მხრით ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება ესაჭიროებათ. ერთი ამისთანა პიონერთაგანია ქ-ნი ელენე ზაალ თარხნიშვილის ასულია, რომელსაც ქალაქ გორში ქალთა პროფესიონალური სკოლა გაუხსნია. სკოლაში სულ ხუთი განყოფილებაა. პირველს სამს განყოფილებაში საგნებს თავისუფლად ასწავლიან, შემდეგ კლასში კი პრაქტიკულად. სპეციალურ საგნებს გარდა, ასწავლიან მაზოგადო საგნებსაც, ასწავლიან სიმღერას, ხატვას. ერთის სიტყვით, სკოლის მიზანია გამოზარდოს ცოტად თუ ბევრად განათლებული და შეგნებული მომუშავენი. თუ რამდენად დიდი ყოფილა ასეთი სკოლის მოთხოვნილება, სჩანს იქიდან, რომ გახსნისას სულ 30 მოსწავლე ყოფილა, ეხლა კი 150 მოსწავლეა. სკოლა მოთავსებულია მშვენიერ სახლში, მოწყობილია კარგად. ერთის სიტყვით, ქ-ნ ელენე ზაალ თარხნიშვილის ასულს არ დაუზოგია არც შრომა და არც ფული სწავლის კარგად დასაყენებლად. მაგრამ ერთი ადამიანის შრომა, რაც უნდა დიდი იყოს ენერგია, ასეთს საქმეს ვერ გასწვდება. საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა საზოგადოების დახმარება და თანაგრძნობა.

ეს სკოლა ადვილად შეიძლება გადაიქცეს სამაგალითო სკოლად, და ქართველმა საზოგადოებამ ამისთვის არაფერი არ უნდა დაიშუროს.

შინაური.

ქუთაისელ კოოპერატიულ დუქნის გამო.

კოოპერაციას მწერლები სხვა და სხვანაირად განსაზღვრავენ. არც მათ ახსნას გამოუდგები აქ, არც დაწუნება-მოწონებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველგვარ კოოპერაციაში ამხანაგური გრძნობები, ერთმანეთის დახმარება, დღევანდელ ვითარებაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესობა არის სარჩულიც და ზედა პირიც. კოოპერაციაში მონაწილე ამხანაგები ყველა ერთნაირად არ არის დარწმუნებული ამ ახალ საშუალების ღირსებაში და ამიტომ საზღვარ გარედაც კი, სადაც მედგრად წინმსვლელ კოოპერაციას კერძო მოვაჭრე-მრეწველებმა მათთვის სახიფათო ცხრა თავიანი გველეშაპი უწოდეს, არსებობენ წესდებები, რომლებიც ერთ მხრივ ზღუდავენ წევრების ნების-ყოფას, მეორის მხრივ ავალებენ ამა თუ იმ მოთხოვნილებების უსათუოდ ასრულებას. ჯერედ იქაც კი არ ერიდებიან ჯარიმების დადებას იმისთანა წევრებზე, რომლებიც ჰღალატობენ თავიანთ დაწესებულებებს და სხვაგან მიდიან სავაჭროდ. ასეც უნდა იყოს. ყველა ერთი დედ-მამის შვილი არ არის, და გინდაც იყოს, ერთის ხიდან ზარიც გამოდის და ნიჩაბიც. მრავალ ჯურის და აზროვნობის ადამიანი მოიპოვება ერთ რომელიმე საზოგადოებაში. მათი ერთსულოვანად ამოძრავება, ერთ რომელიმე იდეისკენ მიმართვა ყოვლად შეუძლებელია ისე, რომ ბევრმა უხერხულობა არ იგრძნოს, ბევრმა უკმაყოფილება არ განაცხადოს, ბევრმა თავი შეურაცყოფილადაც კი არ იგრძნოს. ამნაირ ადამიანებს რაიმე ნორმები, ცოტა რამ შემტუქსველი და დამტევი უსათუოდ ესაჭიროებათ. დრო და გამოცდილება დაარწმუნებს ამნაირ ადამიანებს, რომ ყველა ზომები მათ და საერთო საქმის საკეთილდღეოდ იყო შემოღებული-მოგონილი. მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილია და კოოპერატიული საქმე ბედნიერ გზაზე დაყენებული. შეგნებულ და ერთ იდეით გამსჭვალულ წევრებიან კოოპერაციას ვერ შეერევა ვერა ძალა, მისი გატეხა და დარღვევა ქაჯურ ძალებსაც კი არ შეუძლიათ.

კოოპერატორები ერთს ოჯახს წარმოადგენენ. მათი საერთო დაწესებულება ყველასათვის ძვირფასი და გულზე მობმული საქმეა და ამიტომ მუდამ თავიანთს საერთო დაწყობილობის ზრუნვაში და ლოლიაობაში ამოჰდით სული. თავის მხრივ თვით დაწესებულებაც ცდილობს პირნათლად ემსახუროს წევრებს, თვალსაჩინოდ ჰყოს კოოპერატიულ საქმიანობის სარგებლობა და მით უფრო მტკიცედ გადაებას წევრების ყოველ მოთხოვნილებას, ყოველ ზრახვას. კოოპერატიულ დაწესებულებას ბევრი რამ, რაც კერძო საქმიანობისთვის საჭიროა და აუცილებელია, სრულებით არ ესაჭიროება. მაგ. რეკლამები, აგენტები, კივილი და განგაში, ზოგისაგან წაგლეჯა ერთი ორად, გალამაზება, თვალმომჭრელი სიბრჭყვიალე, ხალხის მიმზიდველი გარეგნობა და მრავალი სხვა ხრიკები, რასაც კერძო მოვაჭრენი მხარს ვერ უქცევენ და დღე მუდამ ახალ და ახალ საამისო თვალთმაქცობას იგონებენ. ყველა ეს ხარჯები ჩვენ მომხმარებლების ზურგიდან აიღების, ჩვენი ნაწოვ-ნადაგ გროშებით აინაზღაურების.

კოოპერატორები საქმის დაწყებას ცდილობენ საფუძვლიანად. სუფთად, კოხტად და იაფად მოწყობას ეტრფიან. ყოველი გროში მათთვის ძვირფასია და მოსატყუარ, თვალებ ასახვევ რამეს არ ანდომებენ. საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენაო. აი დევიზი რომელსაც პირნათლად ახორციელებს ყოველი კოოპერატიული დაწესებულება.

კოოპერატორებს არამც თუ სხვა და სხვა ცრუპენტელაობისთვის არა სცხელათ და ფულს არა ჰხარჯავენ, არამედ მტკიცედ აქვთ შეგნებული და, სადაც კი შეიძლება, ანხორციელებენ კიდეც ემსახურონ კოოპერატიულ დაწესებულებას მუდამ უფასოდ, ან თუ ეს მოუხერხებელია იქნობამდის მაინც, ვიდრე კოოპერატიული დაწესებულება ფეხს მოიკიდებს საზოგადოებაში და ზურგს მოიმაგრებს. ბევრია და იყო საზღვარ გარედ ასეთი პატიოსანი ადამიანნი, რომელთაც მადლიერმა ხალხმა ერთი ათად გადაუხადა, პირველად მსხვერპლის შეწირვისთვის, შემდეგ.

აი ასეთი აზრები მიტრიალებს თავში კოოპერატიულ საქმიანობაზე და ამიტომ ქუთაისის კოოპერატიულ დუქანს მეორე-ხარისხოვან ქუჩებზე ვეძებდი. ვფიქრობდი ამისთანა დუქანს ადგილის მდებარეობა არაფერს უშველის, რადგანაც მისი კეთილდღეობა მთლად მის წევრებზეა დამოკიდებული, წევრები კი იპოვნიან და მოვალედ ჩასთვლიან თავიანთ თავს მეორე-ხარისხოვან ქუჩაზედაც წავიდეს, რადგანაც იმედი აქვს თავის დუქანში იაფადაც იყიდის და საუკეთესო საქონელსაც. ალბად ეს აზრი ჰქონდა აფიცრების ეკონომიურ საზოგადოებას ტფილისში, როცა მან თავისი პირველი სავაჭრო მიხაილოვის პროსპექტის შესახვევში მოათავსა და სხვაგან არა. მერე კი გოლოვინის პროსპექტზედაც გამოჰქიმა განყოფილება. მერე რატომ არ უნდა გამოეჰქიმა, როდესაც ორი სამი წლის შემდეგ მილიონი მანეთი ტრიალებდა მათ სავაჭროში, რომელიც კაპეიკებით იყო პირველად დაწყებული. ჰო, ვეძებდი და ერთ საშუალო ვაჭარს, დაბალ სწავლა მიღებულს წავაწყდი. ხელები უკან დაეწყო, ქუჩის ერთი გვერდიდან მეორესკენ იყურებოდა და ასე მსჯელობდა:

— ნეტა რისთვის უნდათ, რომ ამ გამოსაჩენ ადგილას გამოჰქიმეს დუქანი. ამ თავით ეგენი დუქნის ქირის ძლევას ვერ აუვლენ და საქმე ჩაეფუშებათ. ესეც არ იყოს, ვინ გიჟი იქნება ბაზარში ხორცი, მწვანილი, ხილი იყიდოს და აქ ამოვიდეს ხმელი რამის საყიდლად. ეს დუქანი ბაზარში რომ იყოს მაშინ სუ სხვა იქნებოდა: კაცს დრო მეტი არ დაეხარჯება, იცის მოტყუება-ლაყბობას ამნაირ დუქანში ადგილი არა აქვს და ამიტომ უსათუოდ შევა წევრიც და გარეშე პირიც იქ.

გავიხედე და საქალაქო თეატრის გვერდზე, ამ ძვირფას, მაგრამ კოოპერატიულ დუქნისთვის სრულიად გამოუსადეგარ ადგილზე, წავიკითხე კოოპერატიულ დუქნის ნიშანი. მართლაც რომ გაუგებარია ამ ადგილას ასეთი დუქნის გაღება. ირგვლივ დილიდან საღამომდის ეტლებით ძოსეირნე და შეგირდების მეტს ვერავის დაინახავთ. მცხოვრებნი აქ არავინ არ არის, უფრო დაწესებულებებია, საიდანაც ყველა სახლებში მიდის, სოფლელი აქ არ მოჰხვდება, მოსამსახურე, მზარეულები ერთ საქცევზე უვლიან ამ ადგილს. მაშ რის და ვის იმედი აქვთ დამწესებლებს, რომ მათთან სავაჭროდ შევლენ? ცხადია წევრებისა, რადგანაც როგორც ზევით მოვიხსენიე შეგნებული წევრები ყოველ დაბრკოლებას გადაჰლახავენ და თავის იდეისამებრ გაისჯებიან და მოვლენ, მოიყვანენ ნაკლებად შეგნებულებსაც, ვისაც მოასწრობენ. განა თვით ამ დუქნის ხელმძღვანელთ კი არ შეეძლოთ ეფიქრათ წევრების სიამოვნება-მოხერხებულებაზე და გაეღოთ იქ, სადაც ყოველგვარი ვაჭრობა გაჩაღებულია. აქით ყოველ სხვა სიკეთის გარდა, ბევრ მანეთს შეუნახამდნენ საწყალ მომხმარებლებს და დიდად გაიწევდა საქმე, რადგანაც ბრალიანი და უბრალო ბაზრისკენ მიიწევს. იქ ჰყიდის, იქვე ყიდულობს.

არავინ იფიქროს ვითომც რაიმე ინტერესები მალაპარაკებდეს, გარდა ამ დაწესებულების გაზრდა-გაძლიერებისა, რადგანაც მე ტფილისელი ვარ და ქუთაისში შემთხვევით ვიყავი, სწორედ დუქნის გახსნის დროს. ჩემთვის სასურველია ყოველ კოოპერატიულ დაწესებულების პირველადვე მედგარი გამარჯვება, რათა პირველმა შეცდომებმა და დამარცხებამ ხალხი არ გაგვიორგულოს და კოოპერაციის საქმე სამერმისო საქმედ არ გადადოს. ამის მაგალითებსაც ევროპა [illegible] რომ [illegible] გავიქცეთ, [illegible] [illegible] ჩვენში, რომლებიც ერთბაშად სოკოებისავით გამრავლდა და რომლებზედაც ეხლა კრინტის დაძვრაც საშიში შეიქმნა. აი რანაირი ფსიხიკა შექმნა რამდენიმე გათახსირებულმა, უსინდისო ადამიანმა, რომელთაც შანტაჟად გადააქციეს ეს ისეთივე დიდი და წმინდა საქმე, როგორც სხვა ყოველგვარი კოოპერატიული დაწყებულობაა.

საქმის სათავეში მდგომთ ვუსურვებ მხნეობას და იმდენ გამჭრიახობას, რომ, თუ ჩემგნით შენიშნული ნაკლი მართლა ნაკლად მიაჩნიათ მალე გაესწორებინოთ და რაც ამ, იქნება, უნებლივ შეცდომით თავიანთ წევრებს დააკლებენ, თავიანთ პატიოსნურ სამსახურით, ნაკისრ ვალდებულობის სინიდისიერად შესრულებით შეევსოთ იგი. ვაჭრობა კი ისეთი საქმეა, რომ დიდს ხარჯებს იტანს, როცა მრუდე ხელი არ ტრიალებს მასში, ყველაფერს გაუძლებს, თუ ანგარიშები სისწორით სწარმოებს. თვითონ იცით რამოდენა სიმდიდრეს იძენენ კერძო მოვაჭრენი, რომელიც შემთხვევითი მუშტარი ჰყავთ, რამოდენას ჰხარჯავენ სხვის სახლების რემონტ-გადაკეთება-გადმოკეთებაზე და მაინც ზრდა, სიმდიდრის დაგროვება ეტყობათ. მიუხედავად ყველა ამისა, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ჩემი აზრისა სხვანიც გამოჩნდებიან წევრთაგანნი, რომ დუქანი ბაზარს დაუახლოვონ და ბინად რაც შეიძლება იაფი, მაგრამ სუფთა შენობები მოძებნონ.

მგზავრი ლ.

ქიზიყის ჭირ-ვარამი

ქვემო-მაჩხაანისა და ზემო-მაჩხაანის სოფლის საზოგადოებათა შორის ატეხილი დავა სახნავ-სათესი მიწების თაობაზე უმწვერვალეს ხარისხამდე აღწევს. სიღნაღის მაზრის უფროსს ქაღალდი მოჰსვლია, ეს ორი სოფელი დროებით, სანამ მიწები საბოლოოდ დაიყოფა, როგორმე მოარიგეო.

მაზრის უფროსმა ბ. ალადატოვმა მათ მოსარიგებლად შემდეგ საშუალებას მიჰმართა: მამასახლისებს უბრძანა; ორ-ორი სამ-სამი კაცი დაესახელებინათ იმ სოფლის მკვიდრთაგან, რომელთა სახნავ-სათესი მამულები მათი მიწების სამზღვრებზე მდებარეობს და 23 სექტემბრისათვის ორთავე სოფლის მცხოვრებნი შეეკრიბნათ ს. ქვემო-მაჩხაანის კანცელიარიასთან.

ამ დღეს ს. ქვემო-მაჩხაანში დიდძალი ხალხი მოგროვდა ორსავე და სხვა სოფლებიდანაც იყვნენ ორ-ორი ამორჩეული პირნი მირზაანიდან, ტიბაანიდან, ჯუგაანიდან, ფანიანიდან, ბოდბისხევიდან და ანაგიდან. დილაადრიანვე განცალკევებით იყვნენ შეგროვილნი დარაჯთა თვალყურ ქვეშ, რათა მათთან არავინ მისულიყო და არ გაელაპარაკებოდა.

11 საათზე მობძანდნენ მაზრის უფროსიც და მომრიგებელი—შუამავალიც. მაზრის უფროსმა უბძანა ხალხს ხუთ-ხუთი კაცი ამოერჩიათ

ბ. ანტონ ფურცელაძის საპასუხოდ

(დასასრული *)

ბ. ანტონს ჰგონია, რომ მეც „კერპ-თაყვანისმცემლობის“ გულისათვის გავილაშქრე ჩემს „მასალებში“ მის წინააღმდეგ. ვითომ მეც ისე ვარ დაბრმავებული ჭავჭავაძის მნიშვნელობით, რომ არ ვიწყნარებ არავითარ კრიტიკას და ვითამ ბ. ანტონიც ამიტომ ამოვიჩემე, რომ იგი დამოუკიდებლად სჯის ილიას ღირსება-ნაკლულევანების შესახებ. რამდენად მართალია ყოველივე ეს ამასაც ვნახავთ, ახლა კი უნდა გავახსენო ბ. ანტონს, რომ ბ. ხახანაშვილი თავის „სიტყვიერების ისტორიაში“ ზემოდ აღნიშნულ საკითხის გამო ამბობს შემდეგს: „За нимъ числится непростительный грѣхъ, тяготѣющій надъ нимъ со времени появленія „Сакартвелосъ Моамбэ“ Ил. Чавчавадзе, съ его прогрессивнымъ направленіемъ. Противъ этого журнала и затѣмъ полемику Ант. Пурцеладзе на страницахъ запаѣснѣвшаго „Цискари“. (Очерк. по груз. слов. стр. 295). როგორც ხედავთ, ხახანაშვილიც იმას ამბობს, ანტონ ფურცელაძემ პროგრესიულ მიმართულებას დაუწყო ბრძოლა დახავსებულ ჟურნალის ფურცლებზე. ასე რომ წარსულშიაც და ეხლაც, ვინც კი დაჰკვირვებია ამ ფაქტს, ყველა თანახმაა მის დაფასებაში. ბ. ფურცელაძეს კი უნდა „კერპთ-მსახურების“ წინააღმდეგ მებრძოლად გამოვიდეს საზოგადოების თვალში. მაგრამ რას ნიშნავს ეს? აგვიხსნას თვით ბ. ფურცელაძემ. აი რას ამბობს იგი: „მე იმავ თაობითვე ვებრძოდი კერპობას, კერპთ-თაყვანისცემას. მე ვუყურებდი და ვუყურებ დღესაც და მრავალჯერ კიდეც მიწერია, რომ ქვეყნის ერთი უმთავრესი დამღუპველი არის კერპთ-თაყვანისმცემლობა... ამ ბრმა თაყვანებას მოსდევს ის, რომ, თუ გაღმერთებულმა კაცმა აუქცია თავის გზას, ისეთს ვნებას ვერავინ მოუტანს ქვეყანას, როგორც ამ გაღმერთებული კაცების შემცდარი, ან განგებ წარმოთქმული აზრი და არჩეული გზაო“. სავსებით ვეთანხმებით, ჭეშმარიტებას ლაღადებს ბ. ფურცელაძე. მაგრამ ვინ არის რომ ალმერთებს მოღვაწეს და ვინ არის ეს გაღმერთებული მოღვაწე? მე გამოვდივარ კერპთ - თაყვანისმცემლობის ქურუმად, კერპად კი ილია გამიხდია. ჩემს შესახებ ბ. ანტონი ბძანებს: „აღუმართნია კერპი და ყოველი, ვინც არ აღიარებს მის კერპს, კოცონი მასო“. ილიას შესახებ კიდევა ბძანებს: „დიდებულს კაცს დიდებული აზრებისა და საქმეებისათვის დიდება და პატივი. მაგრამ არასოდეს მათი შეცდომების წინ თვალების დახუჭვას, როგორც ითქვა ზემოდ, კეთილი არ მოსდევს. მრავლისაგან მრავალი სამსახური მიუძღვის ი. ჭავჭავაძეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, მაგრამ ნუ თუ ის იყო შეუცდომელი, შეუცოდველიო“. აი თურმე რაშიაც ყოფილა საქმე! ილია ჭავჭავაძეს „საქართველოს მოამბის“ დაარსებით თურმე შეუცოდებია ქვეყნის წინაშე, და მე, როგორც კერპმსახურს, დამიმალეს ეს გარემოება და დღეს ვაიძულებ ბ. ანტონ ფურცელაძეს გამომჟღავნოს როგორც ჩემი მიკერძოება, ისე ილია ჭავჭავაძის შეცოდებანი. მაგრამ, გვიბძანოს ერთი, რომელი საქციელი, წერილი, მოთხრობა, ლექსი თუ სხვა რამ „საქართველოს მოამბის“ პერიოდისა ჩაეთვლება ილიას ცოდვად და შეცდომად? ვამბობ „საქართველოს მოამბის“ პერიოდისა, რადგან აქ ლაპარაკია სწორედ ამ ხანაზე და არა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ, საზოგადოთ. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რატომ არ მიეკედლა ბ. ანტონი „საქართველოს მოამბის“ ჯგუფს და დახავსებულ „ცისკარს“ დაებღუჯა და არა იმაზე, რომ ილიას თავის მოღვაწეობის განმავლობაში შეცდომები ჰქონდა ჩადენილი. ჩემ ოპონენტს საკითხის ამგვარად დაყენება არ არსწონს. იგი იწყებს მასლაათს კერპთმსახურებაზე და იმაზე, რომ შეუცდომელი არავინ არის ამ ქვეყნად, თითქოს ყოველივე ამას რაიმე კავშირი აქვს აღძრულ კამათთან. შეუცდომელი დიაღაც არავინ არის, მაგრამ გვითხრას, დაგვისახელოს, გვაჩვენოს ის შეცდომანი, რომელნიც ჩაუდენია ილიას, **იმ ხანაში** და რომლებმაც აიძულეს ბ. ანტონი პროგრესიული მიმართულების წინააღმდეგ გალაშქრებულიყო. თუ ადამიანს შეცდომად ჩაეთვლება „გლახის ნაამბობისთანა“ და „კაცია ადამიანისთანა“ მოთხრობების დაწერა და „საქართველოს მოამბისთანა“ ევროპიულ ხასიათის ჟურნალის დაარსება, ამ ხასიათის შეცდომები მართლაც მიუძღვის ილიას. და ღირსაცნობია ის გარემოება, რომ „კაცია ადამიანის“ შესახებ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს „ცისკრის“ ბელადობის დროს, თითქოს მოთხრობა ისეთი უმნიშვნელო რამ არის, რომ ხსენების ღირსიც არ იყო, ხოლო „საქართველოს მოამბეს“ მტრულის და შურიანის თვალით შეჰყურებდა. მაგრამ იგი დღესაც სწვდება „საქართველოს მოამბის“ ჯგუფს და ასე ახასიათებს ამ ჯგუფის ფიზიონომიას: „ერთი ესეც მიბძანეთ, რა ჰპოვეთ სახარბიელო ან ნიჭით, ან შეხედულობით იმ ახალგაზრდა მწერლებში, რომელნიც ჩადგნენ და სწერდნენ „საქართველოს მოამბეში“, გარდა კიდევ ჭავჭავაძისა? რომელმა რა საუნჯე შესწირა ქვეყანას თავისი ცოდნით, თავისი კალმით, რაში და რითი სახავდნენ ან მაშინდელ ან დღევანდელს მოწინავე აზრებს ხალხში გასაყვანათ“ და სხვა. მადლიერი დაფასებაც ასეთი უნდა! მაშინდელმა თაობამ დღევანდელი მოწინავე აზრები რატომ არ ავრცელაო. ახირებულია, თქვენმა მზემ, იმის მადლობელი აღარ ყოფილა ჩემი ოპონენტი, რომ მესამოცე წლების ახალმა თაობამ თავის დროის მოწინავე აზრებს სთესავდა ჩვენს მწერლობაში. არა, ეს რა არისო, რატომ დღევანდელი ე. ი. მეოცე საუკუნის სიბრძნეს არ ჰქადაგებდნენ მეცხრამეტე საუკუნეშიო? ეს საქმე მართლაც ვერ იკისრა ახალმა თაობამ. ხოლო, თავის ქერქში ჩამდგარმა, მან შესძინა ჩვენს საზოგადოებას „საქართველოს მოამბე“, „დროება“ და „კრებული“. გამოაკელით ჩვენს ჟურნალისტიკას ეს სამი ორგანო და თქვენ ნიადაგს გამოაცლით ჩვენს თანამედროვე ეროვნულ-კულტურულ ვითარებას. ნურაფრად ჩააგდებთ ნურც ჭავჭავაძეს, რადგან იგი „კერპად“ გადაიქცა, უარჰყავით გ. წერეთლის და ნიკ. ნიკოლაძის დამსახურება და ცოცხალი და ძალღონით სავსე ეპოქა თქვენს ხელში უსულო და მკვდარ ხანად გადაიქცევა. თუ ეს არის თქვენი სამართლიანი მსჯავრი, ვერ ვიტყვი, რომ ყნოსვა გქონიათ ჩვენი ცხოვრების გაგებისა და შეგნებისა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ კიდევ რამდენსამე ნაქვთს. ჩემი ოპონენტი მისაყვედურებს, თქვენი „ისტორია“ თქვენი პირადი გემოვნების და სიმპატია-ანტიპატიის აზრთა კრებულიაო. მოვახსენებ ბ. ანტონს, რომ ჩემი წერილები არას დროს „ისტორიად“ არ გამისაღებია. ამ წერილებს ვარქმევ „მასალებს“ ისტორიის დასაწერად. და ამის უფლება, ვგონებ, მაქვს, რადგან ამ „მასალებში“ ვაქვეყნებ ზოგიერთ ფაქტიურ ცნობებს, რომელნიც ნათელს ჰფენენ ქართულ აზროვნების განვითარების“ საქმეს. ბ. ფურცელაძე გამწარებულია „ლობიო შეჭამადის“ ამბავი რომ გავახსენე ჩემს წერილებში. ამის გამო იგი ცხარე სიტყვებს ისვრის, „მაშვრალთა“ და „დაჩაგრულთა“ სამსხვერპლოზე ცრემლებს აფრქვევს და პათეთიურად გაიძახის, რომ პოეზიის საგანი სწორედ რომ „ლობიო-შეჭამანდი“ და არა სხვა რამეო. ბ. ანტონს დაავიწყდა მხოლოდ ის გარემოება, რომ „შეჭამანდის“ ძებნაში მას გამოეპარა ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობა და სრულიად გაუგებარი დარჩა მისთვის ისეთი ლექსი, როგორიც არის „შემოღამება მთაწმინდაზე“. ამ ლექსის გამო იყო რომ ბრძანებდა ბ. ანტონი—წავიკითხე და დავრჩი „ხახამშრალი და გულცარიელიო“. და ამაზე იყო, რომ „სხარტულის“ ავტორმა „საქართველოს მოამბეში“ იხუმრა ბაქიას (ბ. ანტონის) შესა-

---

*) იხ. „სახ.გაზ.“ № 714.

თვითეულ სოფლის საზოგადოებიდან, რომელთაც ლაპარაკის ნება ექნებოდათ, დანარჩენნი წყნარად უნდა ყოფილიყვნენ და საქმის ვითარებისათვის ყური ეგდოთ.

ამ ხუთ-ხუთმა დასახელებულმა კაცებმაც მაზრის უფროსთანაც ისევ ის გაიმეორეს, რაც წინა ყრილობაზე მომრიგებელ-შუამავალს მოახსენეს, ასე, რომ მათი მორიგება ამ რიგად ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა: მაშინ მაზრის უფროსმა ორთავე სოფლის ამორჩეულ კაცებს წინადადება მისცა: მოდით, თქვენი სადაო მამულის გარემოება გამოვკითხოთ თქვენი მომიჯნავე სოფლებიდან დაბარებულ ამორჩეულ კაცებს და როგორც იმათ გვაჩვენონ, თქვენც იმათ ჩვენებასა და გადაწყვეტილებას დაჰყაბულდითო.

ზემო-მაჩხაანელნი ჯერ უარზე დადგნენ—„ეგ მოწმეები ქვემო-მაჩხაანელების მოსყიდულნი არიან, მაგათ არ ენდობათ კაციო,—თუ ფიცითა ჰკითხავთ, მაშინ ჩვენც დავთანხმდებითო“.

მაზრის უფროსმა მიუგო: მე არა მაქვს უფლება დაბარებულ კაცებს ჩვენება ფიცით ჩამოვართვა, მხოლოდ ის კი შემიძლიან ხელწერილი ჩამოვართვა, რომ დღეს არ ჩვენებასაც მომცემენ თქვენის სადაო მამულების შესახებ, იმასვე გაიმეორებენ ფიცის ქვეშაც.

ამ კატეგორიულ სიტყვების შემდეგაც ყოყმანი ეტყობოდათ ზემო-მაჩხაანელთა მაგრამ ბოლოს დასთანხმდნენ.

ამორჩეულ პირებს ხელი მოაწერინეს იმ ქაღალდზე, რომ ესენი ყოველსავე მიუდგომლად აჩვენებენ ეხლაცა და შემდეგ ფიცის ქვეშაც.

დაიწყო მოწმეების გამოკითხვა. ყველამ თანხმობით ის განაცხადა, რომ ყარაჩის მინდორში ხვნა-თესვით ქვემო-მაჩხაანელების მეტი არავინ გვინახავსო, ძირის გზას ზევით, აყუდებულ ქვასთან, ზემო-მაჩხაანელები მოქმედებდნენ, ძირის გზას ქვევით კი, იგივე თუქურმიშას მიმავალი გზა, სულ ყოველთვის ქვემო-მაჩხაანელების მფლობელობაში იყოო...

გამოკითხვის შემდეგ შეკრებილი ხალხი დაითხოვეს სახლში და შედგინეს ოქმი. მხოლოდ ხალხის დაშლის შემდეგ გამოირკვა, რომ ხსენებულ აყუდებულ ქვასთან სამი გზა ყოფილა. ეხლა კვლავ სადაოა, რომელი გზა ჰქონდათ სახეში მოწმეებს. ამის გამო ქვემო-მაჩხაანელთ მაზრის უფროსს სთხოვეს მომრიგებელი-შუამავალი ადგილობრივ მობძანდეს და იქ გაარჩიოს ეს სახათაბალო საკითხიო. მაზრის უფროსიც დასთანხმდა ამაზე...

ამ რამდენიმე დღის წინად ალაზან გაღმა საფქვავზე წასული მირზაანელი გლეხი ნიკა გონაშვილი უკვალოდ დაიკარგა. ნიკა დაკარგულ საქონლის მოსაძებნად წავიდა, საქონელი იპოვნეს, თვით ნიკა კი აღარსადა სჩანს. პოლიციამ ფიცხელი ზომები მიიღო დაკარგულის მოსაძებნად, მაგრამ დღემდის კვალს ვერსად მიაგნეს...

X

ხმა კიევიდან

კიევი მალოროსების დედა-ქალაქად ითვლება, მისი გუბერნიის მცხოვრებთა დიდ უმეტესობას უკრაინელები შეადგენენ.

თუმცა უკრაინელებისად ითვლება თვით კიევი, მაგრამ ნამდვილად, ფაქტიურად მათი როდია. ამ ქალაქს რომ დააკვირდეთ,—ტფილისი გაგახსენდებათ, რადგან ამ ორ ქალაქის ბედი ერთმანეთსა ჰგავს. როგორც ქართველების ტფილისი სომხებს ჩაჰვარდნიათ ხელთა, ისე კიევს ებრაელები დაჰპატრონებიან. იხედება ადამიანი აქეთ-იქით, ჰკითხულობს მაღაზიათა პატრონების გვარებსა და მხოლოდ ებრაელებისა ეჩხირება თვალში.

გარეგნობით კი კიევი უკეთესია, ბევრად სჯობიან ტფილისსა, თუმცა ისეთი უბნებიც არის, ჩვენს შუა-ბაზარს რომ არ ჩამოუვარდება. უპირველესად ყოვლისა—მწვანე ფერი გაგაკვირვებთ: ჩრდილოეთის ქალაქი, სადაც ზოგჯერ სექტემბერში ჰყინავს ხოლმე—აუარებელი მცენარეულობითაა მოცული. თითქმის ყოველ სახლის წინ პატარა ადგილი არის შემოღობილი და შიგ ხეებია ჩარგული. აი, სწორედ ეს მცენარეულობა ჰხიბლავს ადამიანს და მათი სიმწვანე ამსგავსებს სამხრეთის მხარესა. ეს გეოგრაფია გახლავთ, ახლა პოლიტიკაც მოისმინეთ.

კიევი სამართლიანად ითვლება შავრაზმელების ბუდეთ. შავრაზმელებს აქ სამოქმედოდ ძალიან კარგი ნიადაგი მოუპოვებიათ და მუშებშიაც კი გაბატონებულან. ყველაფერს ისინი აძლევენ ტონს და მათი სახელი ხშირად სახსენებელი გამხდარა. არჩევნების ბატონ-პატრონები ხომ ისინი არიან და არიან. პროგრესისტები ქადაგებასაც ვერ ჰბედევენ. ის კი არა, ერთი აქაური გაზეთი სწერდა, ოღონდ მოგვაშორეთ ეს მოკავშირენიო (ორის სახელს ამბობდა) და თუნდა დეპუტატად გავიყვანთ, დავეხმარებით აქედან წასვლას, მოვისვენებთ მაინცაო. წარმოიდგინეთ, მუშებიც კი „უპარტიო“ ხალხს ირჩევს ამ დალოცვილ გუბერნიაში. უკრაინელების ცალკე, დამოუკიდებელ მოქმედებისა არა ისმის-რა.

თუმცა მემარჯვენეები გაბატონებულან, მაგრამ აქაურ უნივერსიტეტს მათი გავლენა ისე როდი ეტყობა, როგორც ოდესისას. კიევში სუნთქვა შეიძლება.

ქართველი სტუდენტობაც, ეტყობა, ამ ბოლო დროებში კიევს ეტანება და ბლომადაც შეგროვილა. ყველა ფაკულტეტზე 150 კაცამდე იქნება, თუ მეტი არა. გარდა ამისა, ბევრი ქართველი შესულა საკომერციო ინსტიტუტში, რომელიც აქამდე კერძო, უუფლებო სასწავლებელი იყო და წლევანდლიდან უფლებები მიუღია. გარდა ამისა, ხუთი-ექვსი კაცი პოლიტეხნიკუმშიაც არის.

ქართველებს, მაინც და მაინც აქ როდი იცნობენ. ერთი სტუდენტი შემომჩიოდა ამისთანა ამბავს: რუსთან ჰქონოდა საქმე და ლაპარაკი კავკასიაზე ჩამოვარდნილიყო. კავკასიაში ყველაზე კულტურიანი ხალხი, სომხები არიან, ეთქვა რუსსა. აბა, დააკვირდით: პირველს, მეორეს და მესამე სათათბიროში სოციალ-დემოკრატების ბელადები ყოველთვის ისინი იყვნენ, მაგალითად: წერეთელი, ჯაფარიძე, ჩხეიძე და სხვანიო. დიდი ცოდნა ვერ გამოუჩენია მობაასეს, მაგრამ ეს ფაქტი ერთნაირი დამახასიათებელი რამ არის ჩვენი მდგომარეობის და ქართველი დეპუტატების მოღვაწეობისა...

სტუდენტობა კი აქ საკმაოდ შეგნებულია. თუმცა არა ოფიციალად, მაგრამ არსებობს ქართველ სტუდენტთა სათვისტომო. ამ მოკლე ხანში ვაპირებთ სამეცნიერო წრის მსგავსის ამხანაგობის დაარსებას, სადაც ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას შევისწავლით.

კიევის ქუჩებში ხშირად შევხვედრივარ ქართველ სალდათს. მაშინვე გვეცნობენ ხოლმე და სიხარულით მოგვესალმებიან ქართველებს: გვკითხავენ საქართველოს ამბავს, გვიამბობენ თავისას—გაჭირვებულ ცხოვრებას უცხოეთში გადაკარგულ ადამიანისას, რომელმაც ხშირად რუსული ლაპარაკიც არ იცის. ერთმა იმერელმა და დუშელმა ჯარისკაცებმა ბევრი საინტერესო რამ მიამბეს და მკითხველს შემდეგ გავაცნობ მათ ნათქვამსა. ეხლა კი ბარათი გაგვიგრძელდა, კმარა.

ქ. რაჭველი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

პოდგორიცა. უკანასკნელი სიმაგრე ქალაქ ტუზისა, გუშინ ჩერნოგორელებს დაჰნებდა 250 ჯარისკაცით, ოფიცრებით, ზარბაზნებით და პულემიოტებით. ტუზის უფროსი მეფემ ინახულა.

პოდგორიცა. პოდგორიცაში და ახლო მიდამოებში დღესასწაულობენ ჩერნოგორელები გამარჯვებას. მხიარულება აუწერელია. სკუტარის აღებამდე დარჩათ მხოლოდ ერთი სიმაგრე-ხემლატი. ჩერნოგორელებმა ტუზში ხელში ჩაიგდეს 6 ზარბაზანი, 8 პულემ. 7000 მაუზერი და სხვ.

ლონდონი. რეიტერი იტყობინება,-რომ საფრანგეთის წინადადება, სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისა ბალკანეთის საქმის გამოსარკვევად, მიიღეს და მის განხილვაში არიანო.

სტამბოლი, მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა უპასუხოდ დასტოვოს ნოტა ბალკანეთის სახელმწიფოებისა და დიდ სახელმწიფოთა ყურადღება მიაქციოს ბალკანეთის სახელმწიფოთა მოქმედებასო.

ოსმალეთის სააგენტო გვატყობინებს, რომ ოსმალეთმა გადასწყვიტა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი და დიპლომატიური მოლაპარაკება ბალკანეთის სახელმწიფოებთან. ოსმალეთის მისიები ბალკანეთში უკან გაიწვიეს.

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ მიიღო სამხედრო უწყების ხარჯთაღრიცხვა. სამხედრო მინისტრმა აუფენ ბერგმა სთქვა, რომ დამატებითი კრედიტების დამტკიცება ისევე აუცილებელი იყო, როგორც სურვილი მშვიდობიანობის დაცვისაო. მართალია ხალხზე ეს მძიმე ტვირთად წვება, მაგრამ შედარებით სხვა სახელმწიფოებთან ავსტრიის ხალხი სამხედრო უწყებისთვის გადასახადებში უფრო კარგ პირობებშიაო. მშვიდობიანობა გვსურს, მაგრამ არ შეიძლება ვიწამოთ მარადი მშვიდობიანობის შესაძლებლობა. ამას დაგვიმოწმეს ბალკანეთში მომხდარი უთანხმოებაო. ომი ბალკანეთისა, ეს მთავრობის ბრალი კი არა, თვით ხალხის ბრალი არისო.

ვენა: სამხედრო დელეგაციაში ფლოტის უფროსმა მონტეკუკოლმა განაცხადა, რომ ავსტრიის ფლოტის გაძლიერება საჭიროაო, რადგანაც ხმელთაშუა ზღვაზე სხვა სახელმწიფოებთან ერთად ერთი ძალისა იყოსო.

ლონდონი. პუანკარეს წინადადება სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისა ბალკანეთის საქმეების გამო, ფორმალურ წინადადების ხასიათს ვერ მიიღებს. დაუყოვნებელი მოწვევა კონფერენციისა შეუძლებელია, რადგანაც ომი უკვე დაიწყო. ამის და მიუხედავად დიდი სახელმწიფონი ამ საქმის განსახორციელებლად ერთსულოვნად იმოქმედებენ.

ბერლინი. პოდგორიცაში ჩერნოგორიის მეფემ ინახულა „ბერლინერ-ტაგებლატის“ კორესპონდენტი. მეფემ უთხრა; დიდად ვწუხვარ სისხლის ღვრისთვისთვისო, მაგრამ აუტანელმა პირობებმა მაიძულა ეს ნაბიჯი გადამედგაო.

სტამბოლი. ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ საბერძნეთთან კავშირი გაწყვიტა ოსმალეთმა, რადგანაც კრიტის დეპუტატები მიუღის საბერძნეთის პარლამენტშიო. კავშირი გაწყვიტა აგრეთვე სერბიასთან და ბულგარეთთან, რადგანაც მათ ოსმალეთის წარმომადგენლებს ბელგრადში და სოფიაში ნოტა გადასცესო. იგივე სააგენტო გვატყობინებს: კრაინის ნაპირებზე ოსმალებმა გაიმარჯვესო. ოსმალების 4 ბატალიონმა 8000 ჩერნოგორელი დაამარცხა. 600 მოკლულია. სერბიის საზღვარზე ზიშევჩევის მახლობლად ბრძოლა სწარმოებს.

ბელგრადი. ოსმალეთის მისიამ უარი შეუთვალა გარეშე საქმეთა მინისტრს მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ოსმალეთის მისიამ ბელგრადი მიატოვა. სერბიის მისიაც ახლო მომავალში წამოვა ოსმალეთიდან.

სოფია. ოსმალეთის მისია მიატოვებს სოფიას 3 ოქტომბერს.

ვენა. ავსტრიის დელეგაციაში კრამარჟმა განაცხადა, რომ ჩეხია მზად არის მიიღოს დამატებითი კრედიტები, რათა დაამტკიცოს მონარქიის ერთგულება, მაგრამ ჩეხებმა უნდა იცოდნენ მიზანი, საითკენაც არის მიმართული მთავრობის პოლიტიკა.

ბელგრადი. მთავარი შტაბი მომქმედ ჯარისა ნიშში წავიდა.

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ დაასრულა მუშაობა. ბერტჰოლდმა მეფის სახელით მადლობა გამოუცხადა დელეგატებს პატრიოტობისთვის. დელეგაციის პრეზიდენტმა სთქვა, რომ დელეგაცია ეთანხმებოდა მთავრობის პოლიტიკას, მშვიდობიანობის დამყარებაშიო.

პოდგორიცა. გენერალ მარტინოვიჩის უფროსობით სამხრეთელ ჯარმა ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ აიღო მურიჩი. ბერანზე იერიშით მიდიან.

ვენა. „ფრემდენბლატი“ კატეგორიულად უარს ჰყოფს ხმებს, ვითომ სახელმწიფოთა შორის ბალკანეთის საქმეების გამო უთანხმოება მოხდებაო. სრული თანხმობა და ერთსულოვნება სახელმწიფოთა შორის უზრუნველ ჰყოფს ბალკანეთის ომის გამწვავებას და გართულებასა.

სოფია. სახალხო განათლების მინისტრი ბოშქევი დანიშნეს ელჩად პეტერბურგში. იმის ადგილას დანიშნეს ვიცე-პრეზიდენტი კრებისა პეევი.

სტამბოლი. მდგომარეობა ძველებურად აუტანელია. ხალხს ისევ აღლვება ეტყობა. სახელმწიფოთა ნოტამ გავლენა ვერ იქონია, და ვერ დაამშვიდა ხალხი. მობილიზაციის საქმე კარგა მიდის, ორი დღის განმავლობაში მცირე აზიიდან გადმოიყვანეს 43.000 ჯარის კაცი. ევროპის პროვინციებში იმყოფება სულ 35.000 ჯარის კაცი.

პეტერბურგი. ბალკანეთზე მომხდარ ამბების შესახებ გაზ. „როსსია“ ეხება რუსეთის პოლიტიკას და სხვა სახელმწიფოთა დამოკიდებულებას კრიზისისადმი. გაზეთი სწერს: რუსეთის თანაგრძნობა იქითკენ არის, საითაც აქამდის იყო,—ჩვენ ერთმორწმუნეთა და მოაზროვნეთაკენ. ჩვენ ამას არავის უმალავთ. ჩვენ უმთავრესად ყურადღებას ვაქცევთ მთელი ხალხის საჭიროებას მშვიდობიანობის დაცვისას, თუ ზიანი არა მოგველის რა. ამ შემთხვევაში მთავრობას მტკიცედ მხარს დაუჭერს დიდი უმრავლესობა რუსის ხალხისა. მას ვერ შეაკრთობს ვერც ბეჭდვითი სიტყვის იერიში, ვერც უკიდურესი გატაცება. მთავრობას სწამს, ერთი სურვილი არა კმარა მშვიდობიანობის დასაცავად. უნდა ლაპარაკობდნენ ან სუსტნი ან და ძლიერნი. ოპტიმისტობას რომ თავი დავანებოთ ვიტყვით რო საუკეთესო თავდები ევროპაში მშვიდობიანობისა მარტო რუსეთის მშვიდობის მოყვარეობა კი არ არის, არამედ მისი საგრძნობი და საშიში ძალა. მეორე მხრივ, რუსეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რო საერთო საპოლიტიკო მდგომარეობა მშვიდობიანობის დასაცავად მიიმართება. აღნიშნავს რა გაზეთი „სამთა თანხმობის“ სიმტკიცეს და თვით რუსეთის მეგობრულ განწყობილებას თვითეულ „სამთა კავშირის“ წევრ სახელმწიფოსთან, კმაყოფილებას გამოსთქვამს, რო ამ კრიზის დროს საერთო შიშმა და სურვილმა დაახლოვა ვენისა და პეტერბურგის კაბინეთები. დიდ მნიშვნელობას აძლევს გაზეთი ამ მომხდარ ფაქტს და აგრეთვე საზონოვის მოგზაურობას ლონდონსა, პარიზს და ბერლინში. რუსეთის დიპლომატიის მეცადინეობით და საფრანგეთის მთავრობის მხარ დაჭერით, ყველა ევროპის სახელმწიფონი ორი აზრის გარშემო შეთანხმდნენ: კანონიერად მიჩნეულ იქმნა წადილი ბალკანეთის წვრილ სახელმწიფოთა რეფორმების შემოღებისა ევროპის ოსმალეთში და ბალკანეთზე ომის აუცილებლობის. —ას დაცული იქმნა უსათუოდ ტერიტორიალური სტატუს-ქვო.

ამ განცხადებას მით მეტი მნიშვნელობა ეძლევა, რო ბალკანეთის სახელმწიფოთა წინაშე წარდგენილ იქმნა ყველაზე დაინტერესებულ რუსეთის და ავსტრიის მიერ.

გაზეთი ირწმუნება, რადგან ეს განცხადება თვით ავსტრიისა და რუსეთისთვისაც სავალდებულოა, მაშასადამე უსაფუძვლოა ყვედრება შეერთებულ რუსეთსა და ავსტრიისადმიო.

დასასრულ, გაზეთი იმედოვნებს სისხლის ღვრა შეჩერებულ იქმნება, რაც შეეხება რუსეთს, იგი დინჯად წინ იცქირება, რადგან ხელთ სრული საშუალება აქვს ხალხის ინტერესებისა და რუსეთის თავმოყვარეობის დასაცავად, როდესაც არ უნდა დაგვჭირდესო.

გაზეთებიდან.

ბულგარეთი.

გაზეთი „უტრო“ სწერს: ოსმალეთი რეფორმებს მუდამ გვპირდება და დანაპირი ერთხელაც არ შეუსრულებიაო. ბულგარეთი სხვა სახელმწიფოებთან ერთად ეცდება რეფორმების მოხდენას მაკედონიაში. გაზეთი განაგრძობს: მობილიზაცია სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა და ჯარის უბრძოლველად დაშლა ყოვლად შეუძლებელიაო. ბულგარელ ლიბერალების ბელადმა ტონჩევმა სთქვა: თუ მთავრობა დემობილიზაციას მოახდენს, ბულგარეთში რევოლიუცია იფეთქებსო.

ოფიციოზი „ბოლგარია“ ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირს მიზნად არა აქვს დასახული მიწა-წყლის გაფართოვება; ერთად-ერთი მიზანი არის განთავისუფლება იმ პოლიტიკურ და ზნეობრივ მონობიდან, ბალკანეთის სახელმწიფონი რომ იმყოფებიან.

ბულგარეთის ჯარის სულის განწყობილება ჩინებულია. საინტენდანტო ნაწილი კარგაა დაყენებული. არმიაში მყოფი პროფესორები და მასწავლებლები საღამოობით ჰმართავენ ბაას ჯარის-კაცებთან. ჯარში ბიუროკრატიზმის ნასახიც არ არის, ოფიცრები და ჯარის-კაცები ერთ ოჯახს შეადგენენ.

სერბია.

ბელგრადში ხმებია, ვითომც გენერალ იოვანოვიჩმა თავი მოიკლა. მიზეზად ასახელებენ იმის პოლკის გადაცემას, მეფის ბრძანებით, თავად არსენიუს ბრძანებლობის ქვეშ.

ბრბო აუწერელი აღტაცებით აცილებს ჯარებს. ქუჩებში ყვირილი ისმის: „ჟივიო!“ „ჟივიო პეტრე მეფე!“.

პუანკარეს ხელმეორე ცდა.

პუანკარემ ხელახლად დაიწყო მოლაპარაკება სახელმწიფოებთან ბალკანეთის რეფორმების თაობაზე. პუანკარეს უნდა გამოარკვიოს რით შეუძლიან დიდ სახელმწიფოებს რეფორმების უზრუნველყოფა. პუანკარეს თაოსნობას სიხარულით მიეგება გრეი. ვენაში და პეტერბურგში შესაძლებელია ეს საქმე შეფერხდეს.

გასაოცარი ამბავი.

„უტრო როსიის“ კორესპოდენტმა საოცარი ცნობა მოაწოდა ცა-

ხებ: „გაკაპასდი და დაიწყე ყვირილი, რომ (ლექსმა) მადა გამიღვიძა და კუჭი კი ვერ გამიძღოო. პოეზია ლობიოს შეჭამანდის ქოთანი ხომ არ არის, რომ ლობიო გასვლიპოსო“. მართლაც, რა შეურაცხყოფაა „მაშვრალთა და დაჩაგრულთა“, როდესაც მათი არა-მკითხე მოსარჩლენი ასე ვიწროდ ჰფარგლავენ ამ დაჩაგრულთა სურვილებს, რომ მათთვის უმნიშვნელოდ ხდიან იმგვარ მოტივებს პოეზიისას, როგორიც არის ბარათაშვილის ლირიკა!

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია მივაქციო მკითხველის ყურადღება იმ უცნაურ და არა-საკადრის ხერხს, რომელსაც ხმარობს ბ. ანტონ ფურცელაძე თავის თავის გამართლებისათვის. ჩემს წერილებში, სხვათა შორის, მოთხრობილი მქონდა ის, თუ რატომ იყო იძულებული ბ. ფურცელაძე „დროებიდამ“ გამოსულიყო. იგი თურმე ფსევდონიმის საშუალებით თავისავე ნაწერებს აქებდა. ეხლა ბ. ანტონი არამც თუ უარჰყოფს ამ ფაქტს, მისაყვედურებს კიდეცა საქმის უცოდინარობას. იგი ამბობს: „რა ერქვა იმ წერილს, რომელშიაც ვითომც მე ჩემივე თავი ვაქე? სათაურიც არის რომ წაეკითხა ჯორჯაძეს, ამას არ იტყოდა. ამისი სათაური არის „შეუსრულებელი სურათი“. გასაოცარი ამბავია! ბ. ფურცელაძე სწორედ იმ გრძელ-ფეხა ფრინველსავით იქცევა, რომელიც თავს ქვიშაში ჰმალავს, ტანს კი საფრთხის ანაბარად სტოვებს. ჩემს წერილებში, გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ბ. მოენიძემ (ბ. ფურცელაძის ფსევდონიმი), რომელიც ჰბეჭდავდა „დროებაში“ ლექსებს, შეაქო ანტონ ფურცელაძის „სამი თავგასავალი“. გ. წერეთელმა კი შენიშვნა გაუკეთა წერილს, მოთხრობა სუსტიაო. ბ. ანტომ იწყინა შენიშვნა და გამოამჟღავნა,—მე მოენიძე ვარო, ჩემს ლექსებს ჰბეჭდავდით და მოგწონდათ კიდეც, მოთხრობას რაღად მიწუნებთო. აი ეს იყო მიზეზი „დროებიდან“ გამოსვლისა. ამ ფაქტს ბ. ფურცელაძე ვითომდა ივიწყებს დ მისაყვედურებს „შეუსრულებელი სურათი“ რომ წაგეკითხა, არ იტყოდი, ვითომც მე ვაქე ჩემი თავიო. არა მგონია, რომ ამგვარი ხერხი პატივსადები იყოს. მაგრამ აი მეორე უცნაური გარემოება. ბ. ფურცელაძე ბრძანებს, ვითომც დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხის“ ავტორი, ჩემ მიერ ათვალწუნებული მწერალი იყოს. ვთხოვ ბ. ანტონს, დამისახელოს ის ადგილი, სადაც ამგვარი ჩემი ათვალწუნება იყოს გამოთქმული. და თუ ვერ მოიყვანს, უფლება მექნება ვიფიქრო, რომ არა საკადრისი ხერხი პოლემიკისა ჩვეულება ყოფილა ბ. ფურცელაძისა.

ჩემი ოპონენტი მდებს კიდევ ისეთ ბრალს, რომ გაშტერებული რჩები ამ ბრალდების წინაშე. იგი ამბობს: „თქვენ ისიც საძრახისათ მიგაჩნიათ, რომ ვწერდი სოციალურ კითხვებზედ წერილებს და სიტყვას „სოციალიზმს“ არ ვახსენებდი. ნუ თუ. ეგეც საძრახისია? ნუ თუ მაგის წინაც თვალები უნდა დახუჭოს კაცმაო“. ვთხოვ ბ. ანტონს ეს ადგილიც დამისახელოს, სადაც ამგვარი საძრახისი გამომეთქოს. და სანამ ამ უიმედო საქმეს აასრულებდეს მოვაგონებ ჩემს ოპონენტს იმ მასალას, საიდამაც შეთხზა მან ეს უცნაური ბრალდება. ნიკ. ნიკოლაძის და არა ანტონ ფურცელაძის შესახებ ვწერდი: „ამგვარად ნ. ნიკოლაძე თავის თავს „სოციალიზმის“ მომხრეთ აღიარებს. სიტყვას „საზოგადოებრივს“ იგი ხმარობს ალსბად ცენზურის გულისთვის“. და აქვეა განმარტება ამ აზრისა; „ბურჟუაზიული მიმართულება თუ არის დამარცხებული, დამარცხებულია სოციალისტური მიმართულებით და არა ზოგად „საზოგადოებრივ“ მიმართულებით“. სად არის აქ ან საყვედური ან საძრახისი რამ? სად არის აქ (ეს მთავარია) ბ. ანტონ ფურცელაძე? ნიკოლაძის აზრების განსამარტავი მოსაზრება, მოსაზრება, რომელიც იმ დროინდელ ვითარებას ნათელს ჰფენს (სიტყვის ხმარებაც აკრძალული იყო) რატომ უნდა ხვდებოდეს გულს ბ. ანტონს და რატომ უნდა იდგეს ცრუ—ტრაგიკული პოზაში მკითხველის წინაშე?... ან იქნება „მნათობის“ შესახებ რომ ვსთქვი რამდენიმე სიტყვა ამავე განმარტებითი ხასიათისა, ამ სიტყვებში ნახა ჩემმა ეჭვიანმა პოლემისტმა რაიმე საწყენი? მე ვამბობდი: „მნათობის“ წერილებსაც იქვს გაკრული სოციალისტური ელფერი... სჯა-ბაასი წმინდა თეორიულია, სიტყვა სოციალიზმი ნახსენებიც არ არის. სოციალისტების ნაცვლად „მასწავლებელზეა“, ლაპარაკი. ამ ხასიათის განმარტება ისტორიულ ლიტერატურულ წერილში საჭირო და აუცილებელი საქმეა. და ვერ გამიგია ეს საჭირო და აუცილებელი განმარტება რატომ უნდა იყოს საწყენი ბ. ფურცელაძისათვის?

მაგრამ მეოთხე ბრალდებას რომ გავაცნობ მკითხველს, მისთვის აშკარა გახდება, რომ ცრუ ტრაგიკული და ცრუ—ბუმბერაზული სულიერი განწყობილება სტიქია ყოფილა ჩემის ოპონენტისა. აი თუ არა. ბ. ანტონ ფურცელაძე ბრალსა მდებს იმაში, ვითომ მე ჩემს წერილებში დავცინოდე... მის ფიზიკურ ნაკლს. მართალს ამბავს მოგახსენებთ. იგი სწერს: „თქვენ არ მოერიდეთ, და დასაცინად გაჰხადეთ ჩემი ჯოხით სიარული. ნუ თუ მანდაც სახარბიელო რამ ჰპოვეთ“... დაბეზღების კილოთი განაგრძობს: „წარმოიდგინეთ მკითხველო, ის გულის ბალღამის დაუხვალიებლობა (sic) მწერლობაში, რომელიც იქამდის მიდის, რომ დასცინის შენს ფიზიკურ ნაკლს, დასცინის, რომ ვერ დადიხარ უჯოხოთ“. და ბოლოს მორბილებული და გულ-აჩუყებული დასძენს: „გარწმუნებ, ჩემო არჩილ, რომ იმ დროს, როდესაც მე მუხთალმა ბედმა ეს ჯოხი ჩამაჩეჩა ხელში, ჩემს ნახევარ სიცოცხლეს შევწირავდი ვინც მე ამ ჯოხს მამაშორებდა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ დ თქვენდა სამასხარაოდ ეს ჯოხი მიმდევს საფლავის კარამდის“ რლდესაც წავიკითხე ეს თითქოს გულწრფელი ტირადა, ვერ მივხდი, საიდამ მომდინარეობს, რა წყაროს ეწაფება იგი. რამ აალაპარაკა ადამიანი დაჩაგრულ უმანკოების ენით და რამ ჩაუთესა გულში წყენა?—ნუ თუ ადამიანმა პირალებით გამოგონა ყოველივე და შეთხზა ზღაპარი ტრაგიკული პოზის გულისათვის? არა მჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყოს. მაგრამ დავრწმუნდი, რომ სწ ε რედ ასეა საქმე.

ერთ ადგილს, სადაც „ნიღილისტს“ ვახასიათებდი, ჯოხიც მოვიხსენიე. ამ ჯოხს დაებღაუჭა ბ. ფურცელაძე და გამოიყენა თავის „მონოლოგის“ დასაწერად. ეს გარემოება იმდენად სასაცილოც არის და სათაკილო-სამწუხაროც, რომ მკითხველს მოვაგონებ ჩემს სიტყვებს, საიდამაც გამოაძვრინა არაკი ჩემმა ოპონენტმა. „ცისკარს“ ამ სიტყვებით ვახასიათებდი: „ახლა თქვენ ვეღარ იცნობთ ბებრუხანა „ცისკარსა“. ეხლა იგი სულ სხვა სამოსელში გიდგებათ თვალ-წინ. ხომ გახსოვთ მისი ყურთმაჯებიანი კაბა, მისი განიერი შალვარი, მაღალ-ყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში ჩეკეცილი! ეხლა კი ყოველივე ეს უარუყვია. პენჯაკი ჩაუცვამს, თავზე განიერ კალთებიანი ქუდი წამოუხურავს და ხელშიც კეტისოდენა ჯოხი დაუჭერია, სწორედ ისეთი, როგორსაც იმდროინდელი ნიღილისტები ატარებდნენო“. ამ, ასე ვსთქვა, დასურათებულის დახასიათებით მინდოდა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, თუ როგორც სასწაულისებრ იცვალა სამკაული „ცისკარმა“ და თავადიშვილური იერი ნიღილისტურზე შესცვალა. ჩემდა საუბედუროდ „ნიღილისტებიც“ ატარებდნენ ჯოხს და ანტონ ფურცელაძეც ატარებს. და ჩემდა სავაგლახოდ ბ. ანტონი იყო ის ადამიანი „ცისკარს“ რომ ნიღილისტური მიმართულება მისცა. აი აქ უნდა ალძრულიყო ეჭვი „ჯოხის“ შესახებ დ ჰკლარა-მოსილი მწერალი მოღვაწე ამისგამო ალაპარაკდა ცრუთ ტრაგიკულის კილოთი!.. მოდი და სჩხრიკე ჩვენში „მასალები“ და „დოკუმენტები“!..

არჩილ ჯორჯაძე.

ზეთს. აღნიშნავს სერბიის და ბულგარეთის ურთიერთობაში რაღაც ცვლილებას. ვენიდან ცნობა მოვიდა, ვითომც სერბია ბალკანეთის კავშირიდან გამოვიდაო.

ავსტრიის ნეიტრალი საეჭვოა.

ავსტრია ჰუნგრეთი, თუ ომი გამწვავდა ბალკანეთში, თავის პოზიციას, მან რომ დაიჭირა ომის დაწყებისთანავე, თავს დაანებებს და ნეიტრალს მოხსნის. ავსტრია მოქმედების სრულ თავისუფლებას იტოვებს.

ავსტრიამ სერბიას მოსთხოვა სამი დღის განმავლობაში დაუბრუნოს დაჭერილი ჰაეროპლანები, რომელნიც ოსმალეთისთვის იყო გაგზავნილი.

ბუხარესტში ჩასული ელჩი პლამენაცი, რომელმაც პორტას მთავრობის დავალებით ომი გამოუცხადა ებაასა „ტაგის“ კორესპონდენტს, ჩერნოგორიაო, სთქვა პლამენაცმა დიდ სახელმწიფოთა ნოტამ ააჩქარაო. ჩერნოგორია დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფოთა ჩარევას არავითარი რეალური შედეგი მოჰყვებოდაო. ომის გათავების შემდეგ ჩერნოგორია ისევე მოისმენს დიდ სახელმწიფოთა რჩევას, როგორც ეხლა მოისმინაო. ჩერნოგორია არ ჰმალავს თავის წადილს, მას ჰსურს სკუტარიის სანჯაკი შემოიერთოს და ამისთვის მზად არის გამუდმებით იბრძოლოსო.

საფუძვლიანი ეჭვი.

ავსტრია-რუსეთის შეთანხმებას ბერლინში ეჭვის თვალით უყურებენ. ორივე მხარის მობილიზაცია ამ ეჭვს უფრო აორკეცებს. ჰფიქრობენ ავსტრია ომის დაწყებას უმალ სანჯაკში შევა თავის ჯარითო: ეჭვი თითქოს საფუძვლიანია.

პრესის საყვედური.

ავსტრიის შოვინისტური პრესა რუსეთს ნეიტრალის დარღვევას უსაყვედურებს. რუსეთს ჰსწამებს, ვითომ ბულგარეთში ჰგზავნის საჯარო სურსათს და იარაღს.

ჩერნოგორელების იერიში.

ჩერნოგორელების ჯარი სამ რაზმად ეფინება ოსმალეთის სიმაგრეებს. ჩრდილოეთის რაზმმა ბერანი აიღო და ბელოპოლიისკენ ისწრაფვის, აღმოსავლეთით ზარბაზნებს უშენს ქალაქ ტუზის, სამხრეთისამ სკუტარი დაიჭირა.

როგანის აღება.

28 სექტემბერს ჩერნოგორიის ჯარი ნოვობაზარის სანჯაკსა და მდინარე ბოიანს შუა მოქმედებდნენ. დილის 5 საათზე დაიწყო არტილერიის სასტიკი ბრძოლა როგანისა და ვრანიის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ქვეითი ჯარი იერიშით მივიდა. როგანის კომენდანტი მოჰკლეს, მეციხოვნე ჯარი ჩერნოგორელებს დანებდა. ვრანიასთან კვლავ ბრძოლაა. 200 ტყვე-ოსმალო ნიკშიცს გაგზავნეს.

ბალკანეთის კავშირი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა შორის არსებობს საგანგებო წერილობითი შეთანხმება მთლიანი მოქმედების შესახებ. ასეთ შეთანხმებას პირველად სერბიამ და ბულგარეთმა მოაწერეს ხელი, შემდეგ კი ჩერნოგორია და საბერძნეთიც შეუერთდნენ მათ. ბალკანეთის სახელმწიფოთა მორიგების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის დიპლომატიას.

ჩერნოგორიის პოზიცია.

სტამბოლში ჩერნოგორიის ელჩად ნამყოფს უთქვამს:

ჩერნოგორიამ ადრევე აცნობა მოკავშირეებს, რომ მას ჰსურს ომის გამოცხადებით დაასწროს ავსტრია-რუსეთის წინადადებას ბ იმედი აქვს რომ მოკავშირენი არ გაიმარტოებენ მას. ჩერნოგორია პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას და ამიტომ ვერ გაუგია, თუ რად აყოვნებენ ომის დაწყებას დანარჩენი მოკავშირენი. გამარჯვების შემდეგ ბალკანეთის კავშირი ანგარიშს არ გაუწევს ევროპის მიერ აღსარებულ status quo-ს, იგი მეორე სან-სტეფანოს ვერ დასთანხმდება. ჩერნოგორიამ ნოვობაზარის სანჯაკი უნდა მიიღოს.

სერბიის მეფე.

მეფე პეტრე ნიშს წავიდა, სადაც უნდა გამოქვეყნდეს ომის მანიფესტი.

საბერძნეთის მობილიზაცია.

საბერძნეთის ექვსი კორპუსი ოსმალეთის საზღვარზე სდგას. მიიღეს უკანასკნელი 35 ვაგონი სამხედრო სურსათითა და იარაღით.

სერბიის „ჩეტნიკები“

სერბიის მოხალისენი, რიცხვით 5000 კ. ნოვობაზარის სანჯაკში შეიჭრენ. მიტროვიცის მიდამოებში მათ სასტიკი შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან.

ოსმალეთის ჯარიდან გამოქცეულნი.

უკანასკნელ დღეებში სერბიაში შევიდა 700 ოსმალო-დეზერტირი.

შეფკეტ-ფაშის უარი.

მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშამ უარი განაცხადა საბერძნეთის საწინააღმდეგო ჯარის უფროსობაზე.

ენვერ-ბეი.

რევოლუციის განთქმული მაიორი ენვერ-ბეი ტრიპოლიდან დაუბარებიათ. მას კორპუსის უფროსობას აძლევენ.

ოსმალეთის ფლოტი.

გამოვიდა ხონთქრის ირადე ოსმალეთის ფლოტის მობილიზაციის შესახებ.

თავისუფალი მოქმედება.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ავსტრიას ფიქრადაც არ მოსდის რაიმე აღთქმის დადება ნეიტრალიტეტის დაცვის თაობაზე.

ავსტრია და რუსეთი.

რუსეთის დიპლომატები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ავსტრია-ჰუნგრეთის დელეგაციაში მინისტრებისაგან წარმოთქმულ სიტყვებს. საერთო შეხედულება ისეთია, რომ თუ ავსტრია ამ თავითვე არ ჩაერია ომში, გათავების შემდეგ მაინც მოინდომებს რისამე შემატებას. როდესაც ევროპის კონფერენცია იქნება მოწვეული, ავსტრია ისარგებლებს სახელმწიფოთა უთანხმოებით და იარაღის შემწეობით აისრულებს დიდი ხნის წადილს, ამიტომ იგი აქედანვე ემზადება ამ წუთისათვის. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ პირთა აზრით, ავსტრია და რუსეთი მოლოდინის ხანაში არიან. მათი დამოკიდებულება ომის დაწყების შემდეგ გამოირკვევა, რადგან ავსტრიასა სურს თავისუფლად იმოქმედოს ბალკანეთის საკითხში.

ავსტრიის მუქარა.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ავსტრიამ სრულიად გამოიცვალა აზრი ნეიტრალიტეტის თაობაზე. იგი დიდძალ ჯარს აგროვებს სერბიის საზღვარზე, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ოსმალეთის სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ ეს ჯარი ხელს შეუშლის ჩერნოგორიისა და სერბიის ლაშქართა შეერთებასო.

საზოგადოების შიში.

ვენაში საშიში ხმები ვრცელდება, იმპერიის სხვა და სხვა კუთხეში ჯარის მობილიზაციის შესახებ. მთავრობის ოფიციალური უარის ყოფა არავის აკმაყოფილებს.

ღია წერილი

ბ-ნ ვასო თაბუაშვილს.

გორში ჩვენი ყოფილი თანამშრომელის ბ-ნ სვიმონ მაჭავარიანის შესახებ გავრცელდა ჭორი. ამ ჭორის გავრცელებას თქვენ გაბრალებენ. როდესაც „სახალხო გაზეთის“ წარმომადგენელი ამის გამო შეგეკითხათ, თქვენ განაცხადეთ, სხვის ნალაპარაკევს ვიმეორებო. ამიტომ წინადადებას გაძლევთ, ან თქვენ თითონ იკისრეთ პასუხისმგებლობა, ან კიდევ დაასახელეთ ის პირი, რომელმაც ეს ჭორი გადმოგცათ, რომ მერე ჩვენ თვითონვე მოვსთხოვოთ მას პასუხი. გთხოვთ ჩვენი გაზეთისავე საშუალებით გვიპასუხოთ.

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო საბა სურმავას, რომელმაც თავის სამშობლო სოფელ—ნაგვაზეუში ახლად გახსნილ სამრევლო სკოლას შემოსწირა ზარი—ღირებული 3 მან. 20 კ.

ნაგვაზეუს სამრევლო სკოლის გამგე
მღ. ვ. გაბისონია.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემს წერილს.

„სახალხო გაზეთის“ № 706-ში კ. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლთან ქართულ წარმოდგენებს მმართველი წრის გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი ეფემია მესხი ქუთ. ქართ. დრ. საზოგადოების გამგეობის სამს კითხვაზე პასუხსა სთხოვს და რადგან ერთი მათგანი მე უფრო შემეხება, ვიდრე ქუთ. დრ. საზოგ. გამგეობას, იძულებული ვარ მე გავცე პასუხი.

მთელ იმ წერილიდან მხოლოდ ისა სჩანს, რომ მე ჯამაგირი მომიმატეს, დამახარბეს და ამიტომ თავი დავანებე სახალხო თეატრს და აბოლოვებს ასე: „შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ბ. იმედაშვილის დასში მიღება მისი არა საკადრისი საქციელის შემდეგ.“

თუ წრის გამგეობა ყველა იმ მიზეზებს, რამაც მაიძულა სახალხო თეატრისათვის თავი დამენებებინა, გამოსტოვებს და მხოლოდ ჩემს ჯამაგირს ჩააცივდება და იმასაც გადაამახინჯებს, რასაკვირველია ჩემი საქციელი არასაკადრისად ეჩვენება.

მიზეზები სულ სხვა იყო და თუ ნებავთ პრესის საშუალებით გამოვაცხადებ. რაც შეეხება იმ მიზეზს, რომელიც წრის გამგეობას უმთავრესად მიაჩნია, სიმართლეს მოკლებულია. აი რატომ: შარშან თვეში 110 მან. მქონდა. წელს **ყველას** 20% მოუმატეს და რა არის გასაკვირველი, რომ სხვებთან ერთად მეც 20 მან. მომიმატეს? ესეც რომ არ იყოს, წრის გამგეობამ ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ სახალხო თეატრთან მოლაპარაკებაც-კი არა მქონდა, როცა ქუთ. დრ. საზ. გამგეობამ თვეში 130 მან. შემომაძლია. მაშ რათ ჰგონია, რომ ჯამაგირს დამახარბეს და გადამიბირეს? ან საიდან წარმოადგინა, რომ ჯამაგირი **შემდეგ** მომიმატეს და იმდენი მომცეს, რომ არც ერთ ქართველ მსახიობს, ვლ. მესხიშვილის გარდა, არც-კი მოლანდებია? ან იქნება ის მიაჩნია საარაკოდ, რომ წელს რეჟისორის თანაშემწედ მიმიწვიეს რაშიც, უეჭველია, სასყიდელს მომცემენ? (თუმცა ჯერაც არ ვიცი მისი რაოდენობა) თუ ასეა, უნდა მოვახსენო, რომ შესაძლებელია კიდევ ბევრი სხვა რამ დამავალონ, მაგალითად დეკორაციების დახატვა, საბუტაფორო და სარეკვიზიტო ნივთების გაკეთება და სხვა.. და თუ ესენიც შევასრულე, უეჭველია კარგ დიდ ჯამაგირს მომცემენ და მაშინ ხომ თამამად შეეძლებათ სთქვათ იმედაშვილს იმდენ ჯამაგირს აძლევენ, რომ თვით ვლ. მესხიშვილსაც არ მოლანდებიაო.

მაგრამ ვსთქვათ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც წრის გამგეობას ჰგონია ეს ხომ აშკარაა, რომ ის პირობები, რა პირობებითაც ეხლა ქუთაისში ვიმსახურებ, ადრევე ვიცოდი, ვიცოდი ვიდრე სახალხო თეატრს პირობას მივცემდი და ვიცოდი იმ დროსაც, როცა დ. კლდიაშვილი და პ. ყიფიანი ჩამოვიდნენ და გთხოვეს რომ გაგენთავისუფლებინეთ. იმდენად საბუთიანი იყო მათი თხოვნა, (აქ არ ჩამოვთვლი) რომ თვით ქ-ნი ეფ. მესხი დაეთანხმა მათ და პირობაც მისცა ცდილიყო ჩემს განთავისუფლებას, მაგრამ მაინც არ გამანთავისუფლეს. ვიმეორებ, მათი თხოვნა ისეთს საბუთებზე იყო დამყარებული, რომ მე სრული ზნეობრივი უფლება მქონდა ჩემი პირობა მაშინვე დამერღვია და ქუთაისში წავსულიყავი. მე-კი ასე არ მოვიქეცი. თუ ჯამაგირს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რატომ მაშინვე არ გამოვაცხადე უარი?

არა ჩემო ბატონებო, მიზეზები სულ სხვა გახლდათ და ეს მიზეზები მაშინ აღმოჩნდა, როცა მთელი თვე ვიმუშავე, ვნახე რა მდგომარეობაში ვიყავი და რის გაკეთება და რა სარგებლობის მოტანაც შემეძლო.

მე მგონია ამითაც დარწმუნდებით, რომ ჯამაგირის მომატებაზე და გადაბირებაზე ლაპარაკი სრულიად მეტია.

მსახიობი ალ. იმედაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარეჯო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარეჯ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეხნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულნი იმ დღესვე ინახულონ ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიი ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა დ. ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურ ში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა

კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობპთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 82.

განცხადებანი

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგ. [illegible] ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე [illegible] 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებს და [illegible]ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037

ბაღოსნობა
ძმ. ავსარქისოვებისა

სადგ. სკრაში, (კავკ. რკ. გზა). ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 710

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას [illegible] მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და [illegible]შავებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის [illegible]ღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და [illegible]ყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № [illegible], ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

ქ. გორში

იყიდება ძველ კვირაცხოვლის ქუჩის კუთხეში **ორ სართულიანი ახლად აშენებული სახლი**, სარდაფით და შუშაბანდით. ნახვა ამ შენობისა შეიძლება დილის 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. 693

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.



ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ზახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადი.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1078

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშახვისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.
ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.
ავილოვისა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ლექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

პეტერბურგის კონსერვატორიაში
სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი
ე. ბ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.
სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
651.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი " " "	75 კ.
II "	„ჩვენი საზოგადოებრივობა " " " " " "	80 კ.
III "	„ნააზრევი“ " " " " " " " "	65 კ.
IV "	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. "	85 კ.

პუშკინის ქუჩაზე, № 9,
იძლევა ქირით
ორი დიდი თვალი მაღაზია,
შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**
მაღაზიის ზევით მეორე სართულში
ქირით იძლევა ახლად შეკეთებული
ხუთი ოთახი,
კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,
ძმ. ძეგველოვების **თევზის მაღაზიაში.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“,